# ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

## ო ქ მ ი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 — 6 აგვისტო 2018 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე;

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი:

1. გიორგი ივანიაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. სალომე ფახურიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი;
3. მიხეილ სვანაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
4. თამარ შენგელია-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
5. თამაზი თავაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
6. ნატო დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
7. ლელა ჩიკვაიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

8. ივანე მამფორია-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
9. თამარ დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
10. მარინა ღვინიანიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
11. ნათია ძოძუაშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
12. გელა ჩიკვაიძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
13. თამარ ძნელაძე-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
14. ნანა ლილუაშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
15. ნატო დვალიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;
16. გონერი მეფარიშვილი-ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი;

/დანართი 1/

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ:** ალექსანდრე ლილუაშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, აპოლონ რამიშვილი, გვანცა სიგუა, მამუკა ნამიჭეიშვილი, ტარიელ ბარამიძე.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

# დღის წესრიგი

*მოისმინეს:*

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის საბოლოო განხილვა.
   მომხსენებელი /გიორგი ივანიაძე/

*დაადგინეს:* დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველ საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წ.წ. სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით წამოეყენებინათ წინადადებები აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ისაუბრა სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანების შესრულების პროცესზე თითოეული ინდიკატორის მიხედვით. მან საბჭოს წევრებს გააცნო როგორც შესრულებული და პროცესში მყოფი აქტივობები, აგრეთვე ის გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის სრულყოფილად შესრულებას, ხაზი გაუსვა აგრეთვე გამოცდილების გაზიარებას და ამ მიზნით დოკუმენტის საკრებულოსვის დასამტკიცებლად წარდგენამდე იმ მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების სამოქმედო გეგმის განხილვას და გადასინჯვას, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ საქმიანობას ამ მიმართულებით.

   აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-ნანა ლილუაშვილმა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინების მიზნით პირველ ეტაპზე აუცილებელია საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაემატოს გენდერული

საკითხების ღრმა ცოდნა და იმისთვის, რომ სხვადასხვა სფეროში მაქსიმალურად იქნას აცილებული დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოხატულება, ასევე სხვადასხვა პროგრამების გენდერულ ჭრილში ასახვის აუცილებლობაზე ისაუბრა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ კი საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ რომ პირველ ეტაპზე აუცილებელია გენდერული საბჭოს წევრების გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, აუცილებელია შეირჩნენ და დატრენინგდნენ გენდერული საბჭოს ის წევრები, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს დაგეგმავენ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სოფლებში, თემებში, ახალგაზრდებთან, პედაგოგებთან, დაინტერესებულ პირებთან. უნდა დაიგეგმოს კონკრეტული აქტივობები გენდერული საბჭოს წევრების მიერ, გამოცდილების გაზიარების მიზნით აუცილებელია თანმშრომლობის გაღრმავება გენდერულ საკითხებზე მომუშავე შესაბამის ორგანიზაციებთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-ნათია ძოძუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საბჭოს საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით აუცილებელია გენდერულ საკითხებზე მომუშავე პარტნიორ უწყებებთან მემორანდუმის გაფორმება, ასევე აუცილებელია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის უზრუნველსაყოფად ადგილობრივ ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნას თავშესაფრით სარგებლობის სერვისი, რათა ქმედითი ნაბიჯი, გადაიდგას მუნიციპალიტეტის მხრიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და ძალადობის დაგმობის კუთხით, რასაც დაეთანხმა საბჭოს წევრები.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარეს.

მომხრე -16

წინააღმდეგი - არცერთი

*დაადგინეს:*

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით-ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წ.წ. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის საბოლოო განხილვა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ------------------------------------------------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ------------------------------------------------

06.08.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების სხდომაზე დასწრების ფურცელი.

| | წევრების სახელი, გვარი | ხელმოწერა | სხდომის ჩატარების თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრე ლილუაშვილი | | 06.08.2018 წ. |
| 2 | გიორგი ივანიაძე | | |
| 3 | სალომე ფახურიძე | | |
| 4 | ეთერი ჭიჭინაძე | | |
| 5 | თამარ შენგელია | | |
| 6 | თამარ დვალიშვილი | | |
| 7 | ნიკოლოზ დვალიშვილი | | |
| 8 | გონერი მეფარიშვილი | | |
| 9 | მარინა ღვინიანიძე | | |
| 10 | ნათია ძომუაშვილი | | |
| 11 | გელა ჩიკვაიძე | | |
| 12 | თამარ ძნელაძე | | |
| 13 | მამუკა ნამიჭეიშვილი | | |
| 14 | მიხეილ სვანაძე | | |
| 15 | გვანცა სიგუა | | |
| 16 | თამაზი თავაძე | | |
| 17 | ივანე მამფორია | | |
| 18 | ლელა ჩიკვაიძე | | |
| 19 | ტარიელ ზარამიძე | | |
| 20 | ნანა ლილუაშვილი | | |
| 21 | აპოლონ რამიშვილი | | |
| 22 | ნატო დვალიშვილი | | |